

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი მომზადდა ევროკავშირის *უწყვეტი განათლების პროგრამის*¹ მხარდაჭერით. მისი ქვეპროგრამა, სახელწოდებით *ჟან მონეს პროგრამა*², ითვალისწინებს უცხოეთის ქვეყნებში ევროპული კვლევების წარმოების, ევროპის გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების ხელშეწყობას. აღნიშნული პროგრამის მიზანია ევროკავშირის, როგორც ეკონომიკისა და კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრის დამკვიდრება, ერთის მხრივ, და სხვა ქვეყნებისთვის ევროკავშირთან ურთიერთობის გაადვილება, მეორეს მხრივ. საქართველოსთვის, რომელმაც გამოაცხადა კურსი ევროინტეგრაციასზე, ეს უკანასკნელი შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იძლევა საშუალებას უფრო ღრმად შევისწავლოთ ევროკავშირის ფუნქციონირების ის მხარეები, რომლებიც ნაკლებადაა ასახული საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების მიზნით მოქმედ ისეთ პროგრამებში, როგორიცაა *ხაშოვბლო პროგრამა*³ და *აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა*⁴.

დამოუკიდებელ საქართველოში წლების განმავლობაში საინოვაციო პროცესები საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდა. ეს აიხსნება ერთი მხრივ იმით, რომ ქვეყანას ჩამოსაყალიბებელი ჰქონდა საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტები და სწრაფად უნდა დაეგროვებინა ცოდნა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირების შესახებ ყველა დონეზე – სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან კერძო პირებამდე. სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძირითადად ამით იყვნენ დაკავებული. საერთაშორისო ტექნიკურ დახმარებასაც ქვეყანა ამავე მიმართულებით უკვეთავდა. აქედან გამომდინარე, ინოვაციური განვითარების საკითხებზე გამოკვლევები თითქმის იყო ჩამოსათვლელი. მათ რიცხვს პირველ რიგში მიეკუთვნება მსოფლიო ბანკის მიერ 1996 წელს განხორციელებული პროექტი "Development of Georgian Research Organizations under Market Economy Conditions" და TACIS-ის პროგრამით 1997 წელს განხორციელებული პროექტი "R&D Management in Georgia under Market Economy Conditions". საქართველოს საინოვაციო სისტემის მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა, როდესაც დაიწყო მისი უმთავრესი ნაწილის – კვლევითი სისტემის – სწრაფი რეფორმირება 2004 წელს. წარმოიქმნა ინტერესი იმის მიმართ, თუ როგორაა ორგანიზებული კვლევითი სისტემები სხვა ქვეყნებში და რამდენად პასუხობს რეფორმა ამ გამოცდილებას. ანალიზმა ლოგიკურად მიიყვანა მკვლევარები კვლევითი სისტემის შესწავლიდან საინოვაციო სისტემის შესწავლის აუცილებლობასთან. გაჩნდა შესაბამისი პუბლიკაციებიც (ინ. ბიბლიოგრაფია წიგნის ბოლოს). ამის მიუხედავად, ცოდნა იმის შესახებ, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის საინოვაციო სისტემა საქართველოში არასაკმარისია. შეზღუდულია აგრეთვე ამ ცოდნის დიფუზია საზოგადოებაში. ევროკავშირის პროექტის „საქართველოში ევროპული საინოვაციო პოლიტიკის შესწავლის გაუმჯობესება“, რომლის ნაწილი წინამდებარე წიგნის გამოცემაა, აღნიშნული ცოდნის დეფიციტის შევსებას ემსახურება.

¹ Lifelong Learning Programme (http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-programme/doc78_en.htm)

² Jean Monnet Programme (<http://centers.law.nyu.edu/jeanmonnet/intro.html>)

³ European Neighborhood Programme (http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm)

⁴ Eastern Partnership Programme (http://ec.europa.eu/external_relations/eastern/index_en.htm)

წიგნის მიზანია დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაზე მიმართულ ღონისძიებათა შესახებ საერთოევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. კერძოდ: ლისაბონის პროცესის არსი და მისი მართვა სწავდასწავა დონეზე; სამრეწველო საკუთრების საკითხები და ინოვაცია; მცირე ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობა; ევროპული კვლევითი პროგრამების არსი და მნიშვნელობა; საინოვაციო პროცესების მხარდაჭერი საფინანსო მექანიზმები; განათლება საინოვაციო განვითარების მხარდასაჭერად; საინოვაციო პროცესების მონიტორინგი და აღრიცხვა; ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმები; საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში. ყოველ საკითხს ეძღვნება წიგნის ცალკეული თავი. წიგნის თავებში ასახული საკითხების შერჩევას ავტორები პირველ რიგში ითვალისწინებდნენ საქართველოსთვის მათ აქტუალობას. მკითხველისთვის მიგვინდია განსჯა რამდენად მოახერხა ავტორთა კოლექტივმა დასახული მიზნის განხორციელება. ამასთანავე, წიგნის მოცულობის შესწავლის გამო, ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის დეტალური განხილვა. მაგალითად: სტანდარტიზაციის პოლიტიკის შეგავლენა საინოვაციო პოლიტიკაზე, გარემოსდაცვის სფეროში საინოვაციო პოლიტიკის საკითხები მიმოფანტულია სწავდასწავა თავებში (უმთავრესად, სოფლის მეურნეობის სფეროში საინოვაციო პოლიტიკის აღმწერ თავში) და სხვა. იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხების დეტალური განხილვა მომავალში გახდება შესაძლებელი.

საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში, ისევე როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკური ზრდის მთავარი ინსტრუმენტია. წინამდებარე წიგნი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს გაეცნონ საინოვაციო პოლიტიკის პრინციპებს, სტრუქტურასა და განხორციელების ინსტრუმენტებს ევროკავშირში; დაინახონ არა მხოლოდ რა შეიძლება გაკეთდეს, არამედ ისიც, თუ როგორ. მათთვის, ვინც თანამშრომლობს ან აპირებს თანამშრომლობას ევროკავშირის კვლევით ორგანიზაციებთან, წიგნი საშუალებას მიცემს გაერკვეს ევროკავშირში კვლევისა და ინოვაციის სფეროში არსებულ პროგრამებში, ევროპული და უცხოური ორგანიზაციებისთვის არსებულ დახმარების სქემებში, და ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის ეფექტურობა გაზარდოს.

წიგნის თავები იძლევიან საინოვაციო პოლიტიკის ცალკეული შემადგენელი ნაწილების მიმოხილვას და ითვალისწინებენ ქართველი მკითხველის ევროპულ პრობლემებში გათვითცნობიერების დონესა და ინტერესს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თხრობის სტილსა და მოტანილი ფაქტიური მასალის შემადგენლობას. შესაბამისად, წინამდებარე წიგნი არ ასახავს ევროკავშირის საინოვაციო სფეროს პრობლემებზე ევროკავშირში და მის გარეთ არსებულ ყველა შესწავლას. მიუხედავად ამისა, წიგნში აგრეთვე ასახულია საინოვაციო სფეროში არსებული ძირითადი სიძნელეები და გადაუწყვეტელი საკითხები. მკითხველი დაინახავს, თუ რამდენად რთული პროცესია ევროინტეგრაცია, როგორი სიფრთხილე, მოთმინება და თანმიმდევრულობაა საჭირო ევროკავშირში სიძნელეების დასაძლევად. წიგნში ციტირებული წყაროები (გატანილია სქოლიოებში და აგრეთვე თავმოყრილია თავების მიხედვით წიგნის ბოლოს), რომელთა დიდი ნაწილი ევროპული საკანონმდებლო/ მარეგულირებელი აქტები, ოფიციალური დოკუმენტები და გეგმებია, უადვილებენ მკითხველს ამა თუ იმ საკითხში ჩაღრმავებას. წიგნი მრავლად შეიცავს რელევანტური ევროპული ინტერნეტ-საიტების მისამართებსაც. ამდენად, წინამდებარე წიგნი აგრეთვე ევროპული საინოვაციო სივრცის გარკვეული გზამკვლევიცაა.

ცალკეულ შემთხვევაში, წიგნში მოყვანილია საკითხის წინაისტორიაც. ასე მაგალითად, ლისაბონის სტრატეგიის განხილვისას აღწერილია, აგრეთვე, 1996 წლის *ინოვაციის პირველი გეგმა*. ქართველი მკითხველისთვის, რომელიც ჩართულია საქართველოს საინოვაციო განვითარების, კვლევითი სისტემის მომავლის და მსგავს საკითხებთან დაკავშირებულ დებატებში, 1996 წლის *ინოვაციის პირველი გეგმა* ინტერესს წარმოადგენს ორი თვალსაზრისით. პირველი ისაა, რომ ლისაბონის სტრატეგია უფრო გასაგები ხდება მისი წინაისტორიის ცოდნის შემთხვევაში. მკითხველი დაინახავს განსაკუთრებით რთულ საკითხებს, რომელიც ვერ გადაწყდა კარდინალურად ვერც ინოვაციის პირველი გეგმის და ვერც ლისაბონის სტრატეგიის ჩარჩოებში. ამავე დროს, ჩანს, თუ რა პროგრესი იქნა მიღწეული 14 წლის განმავლობაში კარდინალური გადაწყვეტისკენ მიმავალ გზაზე. მეორე ისაა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების სიტუაცია ევროპაში უფრო ანლოა საქართველოს დღევანდელობასთან.

წინამდებარე წიგნი ქვეყნდება იმ დროს, როდესაც ლისაბონის სტრატეგიის მოქმედების პერიოდი იწურება. მიმდინარეობს გაცნოველებული მსჯელობა ანალი, 2020 წლამდე სტრატეგიის თაობაზე, რომელიც 2011 წლიდან ამოქმედდება, მაგრამ ჯერ არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად ამისა, წინასწარი მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ლისაბონის სტრატეგიის ძირითადი დებულებები საინოვაციო განვითარების გადამწყვეტი როლის შესახებ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, ძალაში დარჩება. სოგიერთი კომენტატორი ანალ სტრატეგიას „გაუმჯობესებულ ლისაბონის სტრატეგიას უწოდებს“. შესაბამისად, ცვნი წიგნის მთავარი დებულებები აქტუალური დარჩება.

ავტორები მადლობას უხდებიან ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური სფეროსა და კულტურის სააგენტოს - პროექტის დაფინანსებისთვის, ბატონ ოლივერ რაისნერს, საქართველოში ევროდელეგაციის პროექტების მენეჯერს - რჩევებისთვის და მუდმივი ყურადღებისთვის, ასოციაცია „ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“ წევრებსა და სხვა ჩვენ კოლეგებს ვინც ცალკეული თავების მრავალრიცხოვანი განხილვებში მონაწილეობდა, ტექინფორმის თანამშრომლებს - მათ მიერ გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

ო. შატბერაშვილი
ი. გოგობე